

### სკოპინგის დასკვნა N3

დაგეგმილი საქმიანობის დასახელება: 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენების (ნარჩენი ზეთები) დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა და ექსპლუატაცია;

დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი: შპს „ალტერვეისტი“ (ს/კ 405383936);

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: ქ. რუსთავი;

განაცხადის შემოსვლის თარიღი: 24.12.2025;

მონაცემები სკოპინგის ანგარიშის შემდგენლის შესახებ: შპს „გამა კონსალტინგი“

#### ძირითადი საპროექტო მონაცემები:

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ შესაბამისად სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით შპს „ალტერვეისტი“ (შემდგომ - კომპანია) მიერ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ - სააგენტო) წარმოდგენილი იქნა დაგეგმილი საქმიანობის (ქ. რუსთავში, 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენების (ნარჩენი ზეთები) დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა და ექსპლუატაცია) სკოპინგის ანგარიში.

2021 წლის 23 აპრილს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემულია „ქ. თბილისში, შპს „ალტერვეისტი“ 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის (ნარჩენი ზეთები) დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“ N2-519 ბრძანება, რომლის საფუძველზეც საქმიანობა არ დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას. საქმიანობის სპეციფიკიდან და საჭიროებიდან გამომდინარე, კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება საწარმოს ქ. რუსთავში გადატანის შესახებ. ქ. რუსთავში, შპს „ალტერვეისტი“ 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის (ნარჩენი ზეთები) დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე 2025 წლის 2 ოქტომბერს სააგენტოს მიერ გაიცა სკრინინგის გადაწყვეტილება (ბრძანება N586/ს), რომლის საფუძველზე დაგეგმილი საქმიანობა დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა დაგეგმილია ქ. რუსთავში, შპს „სანიტარის“ საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 02.07.02.673; ფართობი 5577 მ<sup>2</sup>), რომელიც იჯარის საფუძველზე შპს „ალტერვეისტი“ სარგებლობაშია. ტერიტორიის GPS კოორდინატებია: X-502072, Y-4599547; X-502142, Y-4599598; X-502163, Y-4599567; X-502094, Y-4599516. შპს „ალტერვეისტი“ მიერ საპროექტო ტერიტორიად გამოყენებული იქნება მიწის ნაკვეთის ნაწილი (3284.2 მ<sup>2</sup> ფართობი), ხოლო ნაწილი გადაცემულია ქვეიჯარით და გამოიყენება მწყობრიდან გამოსული მოწყობილობების სასაწყობედ. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს 470-

500 მეტრში. თუმცა მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 210 მეტრით (ს/კ: 02.07.04.798), ხოლო დაახლოებით 330 მეტრში წარმოდგენილია ამხანაგობა „ერთგულეზა“ (ს/კ: 02.07.02.420). უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი - მდ. მტკვარი მდებარეობს საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 1300 მეტრში. საპროექტო ტერიტორიიდან დაახლოებით 180 მეტრში მდებარეობს შპს „ერთობა 98“-ს ცემენტის საწარმო (2021 წლის 31 დეკემბერს გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება, ბრძანება N2-1733), ხოლო დაახლოებით 460 მეტრში - შპს „ჯეოსთილის“ მეტალურგიული საწარმო (2023 წლის პირველ ივნისს გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება, ბრძანება N247/ს). ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიამდე მისასვლელი ახალი გზების მოწყობის საჭიროება არ არსებობს.

სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის ალტერნატიული ვარიანტების შესახებ. მათ შორის, განხილულია უმოქმედობის, ობიექტის განთავსების ადგილმდებარეობისა და ტექნოლოგიური ალტერნატივები. საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობის შერჩევა მოხდა გარემოსდაცვითი, ტექნიკური და სოციალურ-ეკონომიკური საკითხების გათვალისწინებით.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საპროექტო 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტი წარმოდგენილი იქნება 38 ერთეული მიწისზედა რეზერვუარისგან შემდგარი სარეზერვუარო პარკით. 18 ერთეული რეზერვუარი (თითოეული 25 მ<sup>3</sup> მოცულობის) განთავსდება შენობა-ნაგებობაში, ხოლო 20 ერთეული - გარე ტერიტორიაზე (ერთი ერთეული - 55 მ<sup>3</sup>, ერთი ერთეული - 50 მ<sup>3</sup>, ერთი ერთეული - 75 მ<sup>3</sup>, ორი ერთეული - თითოეული - 8 მ<sup>3</sup>, 14 ერთეული - თითოეული 25 მ<sup>3</sup>, ასევე ერთი ერთეული - 5 მ<sup>3</sup> მოცულობის მიმღები რეზერვუარი). დოკუმენტში მითითებულია, რომ საერთო ჯამში ობიექტზე მოეწყობა 1006 მ<sup>3</sup> მოცულობის სარეზერვუარო პარკი. თუმცა, მონაცემთა გადამოწმებით (რეზერვუარების ჯამური რაოდენობა და თითოეულის მოცულობა) დგინდება, რომ სარეზერვუარო პარკის ჯამური მოცულობა 1006 მ<sup>3</sup> -ს ნაცვლად, 1001 მ<sup>3</sup> -ს შეადგენს. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ობიექტზე გათვალისწინებულია ნარჩენი ზეთების მიღება, დროებით განთავსება და ტერიტორიიდან გატანა, შემდგომი მართვის მიზნით.

საპროექტო 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა გათვალისწინებულია „ნარჩენების მართვის კოდექსით“ განსაზღვრული R13 ოპერაციის განხორციელების მიზნით. სკოპინგის ანგარიშის თანახმად, სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტზე შემოსატანი ნარჩენი ზეთები „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს №426 დადგენილების შესაბამისად გაერთიანებულია შემდეგ ჯგუფებში: 13 01 - ნარჩენი ჰიდრაულიკური ზეთები (13 01 05\*; 13 01 09\*; 13 01 10\* ; 13 01 11\*; 13 01 12\*; 13 01 13\*), 13 02 - ძრავისა და კბილანური გადაცემის კოლოფის ზეთები და ზეთოვანი ლუბრიკანტები (13 02 04\*; 13 02 05\*; 13 02 06\*; 13 02 07\*; 13 02 08\*), 13 03 - საიზოლაციო და თბოგადამცემი ზეთებისა და სხვა სითხეების ნარჩენები (13 03 06\*; 13 03 07\*;

13 03 08\*; 13 03 09\*; 13 03 10\*), 13 04 - ტრიუმის ზეთები/ნავთობი (13 04 01\*; 13 04 02\*; 13 04 03\*) და 13 05 - ნავთობი, ზეთი/წყლის სეპარატორის შიგთავსი (13 05 06\*) ჯგუფებში.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ობიექტის მომარაგება ნარჩენი ზეთებით მოხდება ადგილობრივი ბაზრიდან (საქართველოს მასშტაბით). ნარჩენი ზეთები ობიექტზე შემოტანილი იქნება ავტოტრანსპორტზე განთავსებული 200 ლიტრიანი ზეთის კასრებით ან ავტოცისტერნების საშუალებით. ავტოტრანსპორტის გამოყენების შემთხვევაში, ნედლეული განთავსდება 5 მ<sup>3</sup> მოცულობის მიმღებ რეზერვუარში, საიდანაც 10 მ<sup>3</sup>/სთ სიმძლავრის ტუმბოს საშუალებით ჩაიტვირთება დროებითი განთავსების რეზერვუარებში. ავტოცისტერნების გამოყენებისას ნედლეული პირდაპირ გადაიტუმბება დროებითი განთავსების რეზერვუარებში. საწარმოში შეგროვებული ზეთების გატანა მოხდება დაგროვების შესაბამისად, ავტოცისტერნების საშუალებით. ნედლეულის გატანა მოხდება შესაბამის ნებართვის მქონე ოპერატორების მიერ ან/და ექსპორტზე, შესაბამისი პროცედურების გათვალისწინებით.

საპროექტო ტერიტორია წარსულში გამოიყენებოდა საწარმოო მიზნებისთვის, შესაბამისად, მიწის ნაკვეთზე მოწყობილია საწარმოო ინფრასტრუქტურისთვის საჭირო ელემენტები. ნაკვეთი ყველა მხრიდან შემოღობილია ბეტონის კაპიტალური ღობით, ხოლო ზედაპირი ხრეშის საფარითაა მოპირკეთებული. სკოპინგის ანგარიშის თანახმად, ობიექტის მოწყობა არ საჭიროებს მასშტაბურ სამშენებლო სამუშაოებს და აღნიშნული სამუშაოები გაგრძელდება დაახლოებით 2 თვის განმავლობაში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საწარმოს მშენებლობის ეტაპზე წყალი გამოიყენება სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით და ტერიტორიის მოსარწყავად, ხოლო ექსპლუატაციის ეტაპზე წყალი გამოიყენებული იქნება სასმელ-სამეურნეო, ხანძარსაწინააღმდეგო, მოედნის დასანამად და რეზერვუარის გამოსარეცხად (საჭიროების შემთხვევაში). ობიექტის წყალმომარაგება მოხდება ადგილობრივი წყალმომარაგების ქსელიდან, ხოლო წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები ჩაშვებული იქნება საპროექტო ტერიტორიაზე არსებულ საასენიზაციო ორმოში. რაც შეეხება სანიაღვრე წყლების მართვას, ვინაიდან ობიექტზე გათვალისწინებული ინფრასტრუქტურის ნაწილი განთავსდება დახურულ შენობა-ნაგებობაში, ხოლო ღია სივრცეში გათვალისწინებული ინფრასტრუქტურისთვის მოეწყობა ფარდულის ტიპის გადახურვა, სანიაღვრე წყლების დაბინძურება მოსალოდნელი არ არის.

სკოპინგის ანგარიშში განსაზღვრულია დაგეგმილი საქმიანობის შედეგად გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების ძირითადი სახეები, ასევე მოცემულია ზოგადი ინფორმაცია იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული იქნება უარყოფითი ზემოქმედებების თავიდან აცილებისათვის, შემცირებისათვის ან/და შერბილებისათვის.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ობიექტის მოწყობის ეტაპი არ გულისხმობს ფართომასშტაბიანი სამშენებლო სამუშაოების ჩატარებას, შესაბამისად, მშენებლობის ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. ექსპლუატაციის ეტაპზე ჰაერის დაბინძურება ძირითადად დაკავშირებული იქნება დროებითი შენახვის რეზერვუარებსა და ნარჩენი ზეთების მიღება/გაცემასთან. სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის დასაშვებ ნორმებზე გადაჭარბება მოსალოდნელი არ არის. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედებისა და ხმაურის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედების შეფასება წარმოდგენილი იქნება დაგეგმილი საქმიანობის გზმ-ის ანგარიშში.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი სახიფათო და არასახიფათო, მათ შორის, მუნიციპალური ნარჩენები შეგროვდება სეპარირებულად. კერძოდ, განთავსდება სპეციალურად გამოყოფილ სასაწყობო სათავსში, ხოლო ნარჩენების მართვა განხორციელდება ნარჩენის სახიფათოობის ან/და არასახიფათოების მახასიათებლებიდან გამომდინარე. ანგარიშის მიხედვით, ნარჩენების მართვის გეგმა წარმოდგენილი იქნება გზმ-ის ეტაპზე.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. საპროექტო ტერიტორია განთავსებულია ანთროპოგენური დატვირთვის მქონე სამრეწველო ზონაში, სადაც ნიადაგის ნაყოფიერი ფენა და მცენარეული საფარი წარმოდგენილი არ არის. საპროექტო ტერიტორიაზე შესაძლოა შეგვხვდეს მხოლოდ ცხოველთა სინანტროპული სახეობები.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის ზემოქმედების ზონაში მდებარეობს სხვადასხვა პროფილის ობიექტები, მათ შორის შპს „ერთობა 98“-ის ცემენტის საწარმო, შპს „ჯეოსთილის“ მეტალურგიული საწარმო, ლითონის ჯართის მიმღები პუნქტები, ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურებისა და შეკეთების პუნქტი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, გზმ-ის ეტაპზე დეტალურად იქნება შეფასებული კუმულაციური ზემოქმედების რისკები.

სკოპინგის ანგარიშის განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სააგენტომ უზრუნველყო სკოპინგის ანგარიშისა და საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელება. მათ შორის, ინფორმაცია განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე და ფეისბუქ გვერდზე. ასევე, გაეგზავნა ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიას, საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით.

სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართა 2026 წლის 27 იანვარს, ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოს

ეროვნული სააგენტოს, შპს „ალტერვეისტის“, შპს „გამა კონსალტინგის“ და ქ. რუსთავის მერიის წარმომადგენლები. დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით საჯარო განხილვაზე დასმული კითხვა ეხებოდა კომპანიის მიერ ნარჩენების ნედლეულად გამოყენებას, რაზეც კომპანიის წარმომადგენელმა შესაბამისი განმარტება გააკეთა. საჯარო განხილვაზე გამოთქმული შენიშვნები/მოსაზრებები და შესაბამისი პასუხები/განმარტებები აისახა საჯარო განხილვის სხდომის ოქმში.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებით სააგენტოში წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები წარმოდგენილი არ ყოფილა.

სკოპინგის პროცედურის შედეგად სააგენტოს მიერ იდენტიფიცირდა დაგეგმილი საქმიანობიდან გამომდინარე, გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ძირითადი ზემოქმედების წყაროები, სახეები და ობიექტები. განისაზღვრა და დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის შედეგად გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი. ასევე, გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი ზემოქმედებების საკითხები.

**გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი:**

1. გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ ინფორმაციას;
2. გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული დოკუმენტაცია;
3. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სკოპინგის ანგარიშში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია, გზშ-ის პროცესში დეტალურად შესწავლილი ზემოქმედებები და შესაბამისი შემცირების/შერბილების ღონისძიებები;
4. გზშ-ის ანგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ (გზშ-ის ანგარიშის მომზადების პროცესში მონაწილეთა სიაში, მითითებული უნდა იქნეს კონკრეტულად ტექსტის რომელი ნაწილი/ქვეთავი იქნა მომზადებული თითოეული ექსპერტის მიერ).

**5. გზშ-ის ანგარიშში ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს:**

- დაგეგმილი საქმიანობის დეტალური აღწერა;

- დაგეგმილი საქმიანობის საჭიროების დასაბუთება (გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონის საფუძველზე);
- დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილების (მათ შორის, უშუალოდ ნარჩენი ზეთების რეზერვუარების განთავსების ადგილების) აღწერა-დახასიათება, საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო კოდის, Shp ფაილებისა და GPS კოორდინატების მითითებით. მათ შორის, მიწის ნაკვეთების საკუთრების/სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- დაზუსტებული მანძილი საწარმოს ტერიტორიიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლ(ებ)ამდე (მდებარეობის მითითებით), ასევე ზედაპირული წყლისა და სხვა შესაძლო ზემოქმედებას დაქვემდებარებულ ობიექტებამდე;
- ინფორმაცია ობიექტის სიახლოვეს (განსაკუთრებით 500-მ რადიუსის საზღვრებში) არსებული ნებისმიერი ტიპის საწარმოო, მათ შორის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული საქმიანობის ანალოგიური ობიექტ(ებ)ის შესახებ (მანძილების და საქმიანობის მითითებით);
- დაგეგმილი საქმიანობის დეტალური აღწერა, ნარჩენების შენახვის ობიექტის დეტალური აღწერა, შესაბამისი თანმიმდევრობით (ნედლეულის მიღების, შენახვის, გაცემის ოპერაციების თანმიმდევრული აღწერითა და წარმადობების მითითებით). ასევე გამოსაყენებელი დანადგარებისა და დამხმარე ინფრასტრუქტურის აღწერა, თითოეული საწარმოო ობიექტის/უბნის, მათ შორის, რეზერვუარების ტექნიკური პარამეტრებისა და ტექნოლოგიური სქემების მითითებით;
- ობიექტის ტერიტორიის (მათ შორის, რეზერვუარების და სხვა ინფრასტრუქტურული ობიექტების განთავსების) სიტუაციური სქემა და გენერალური გეგმა შესაბამისი აღნიშვნებითა და ექსპლიკაციით, ასევე ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევისა და ხმაურის წარმომქმნელი წყაროების მითითებით. საწარმოში განთავსებული ყველა რეზერვუარი დატანილი უნდა იქნეს გენ-გეგმაზე, დანიშნულებისა და მოცულობების მითითებით;
- ინფორმაცია საწარმოს ფიზიკური მახასიათებლებისა და სამუშაო რეჟიმის/გეგმა-გრაფიკის შესახებ;
- დეტალური ინფორმაცია საწარმოს ნედლეულით მომარაგების, ნედლეულის წარმოშობის, რაოდენობის, ტიპის, ნედლეულის დასაწყობების ადგილების და პირობების შესახებ;
- ინფორმაცია საწარმომდე მისასვლელი გზებისა და მათი მდგომარეობის შესახებ;
- დეტალური ინფორმაცია ნედლეულით მომარაგებისა და გაცემის შესახებ, შესაბამისი სამოდრაო მარშრუტის მითითებით (რუკაზე ჩვენებით, სქემატური ნახაზებით). ამასთან, წარმოდგენილი უნდა იქნეს ნედლეულის ტრანსპორტირების გეგმა-გრაფიკი (ნედლეულის შემოტანის და გატანის სიხშირის მითითებით) და ნედლეულის ტრანსპორტირებისათვის გამოყოფილი ტრანსპორტის ტიპისა და რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს სატრანსპორტო გადაზიდვებით

გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;

- ნედლეულის ტრანსპორტირებისას დასახლებულ პუნქტ(ებ)ში გადაადგილების შემთხვევაში ინფორმაცია შესაბამისი პირობების დაცვის შესახებ (მაგ: დაბალი სიჩქარე, ძარის გადახურვა, ღამის საათებში მოძრაობის აკრძალვა);
- გზმ-ის ანგარიშში დეტალურად უნდა იქნეს ასახული საქმიანობის (სახიფათო ნარჩენების (ნარჩენი ზეთები) დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა-ექსპლუატაცია) შედეგად გამოწვეული ზემოქმედების შეფასება სოციალურ გარემოზე, ასევე განისაზღვროს ადამიანის ჯანმრთელობასთან, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- საწარმოს წყალმომარაგების შესახებ ინფორმაცია (გამოსაყენებელი წყლის დღელამური, თვიური და წლიური რაოდენობების მითითებით);
- დეტალური ინფორმაცია სამეურნეო-საყოფაცხოვრებო და საწარმოო ჩამდინარე წყლების (დღელამური, თვიური და წლიური რაოდენობების მითითებით), ასევე სანიაღვრე წყლების მართვის შესახებ. მათ შორის, წარმოდგენილი უნდა იყოს სანიაღვრე არხის მესაკუთრესთან შეთანხმების შესახებ ინფორმაცია;
- საპროექტო ტერიტორიის საკუთრების ან/და სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ინფორმაცია გზმ-ის ფარგლებში ჩატარებული საბაზისო/სადიებო კვლევებისა და გზმ-ის ანგარიშის მომზადებისთვის გამოყენებული მეთოდების შესახებ;
- გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების აღწერა, რომელიც განპირობებულია ავარიისა და კატასტროფის რისკის მიმართ საქმიანობის მოწყვლადობით. ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა. ამასთან, განხილული უნდა იქნეს ობიექტის სახანძრო უსაფრთხოების საკითხები და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები;
- შემთხვევით დაღვრილი ზეთის მართვის ღონისძიებების დეტალური აღწერა. ასევე, ტექნოლოგიური მილგაყვანილობის ან/და სხვა ტექნოლოგიური მოწყობილობების დაზიანების შემთხვევაში - დაღვრილი ზეთის მართვის საკითხები. დეტალური ინფორმაცია შესაძლო დაღვრილი ზეთის მოცულობის შეკავების შესახებ (ტერიტორიის სითხეგაუმტარი ფენით დაფარვის საკითხები, რეზერვუარების შემოზინვის დეტალური დახასიათება, რომლის პარამეტრები და შიდა სასარგებლო მოცულობა გაანგარიშებული უნდა იყოს ავარიული დაღვრის ეფექტური შეკავებისთვის);
- დასაქმებული ადამიანების რაოდენობა, მათ შორის დასაქმებულთა შორის ადგილობრივი მოსახლეობის წილი, ასევე პერსონალის პროფესიული და ტექნიკური სწავლების შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში გარემოს პირვანდელ მდგომარეობამდე აღდგენის ღონისძიებების შესახებ;
- გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირების, მათი პოზიციების,

დამოკიდებულების/აზრის გათვალისწინებისა და შეთანხმების (არსებობის შემთხვევაში) ამსახველი ინფორმაცია. ასევე, ინფორმაცია საჯარო განხილვაზე გამოთქმული შენიშვნების/მოსაზრებების გათვალისწინების შესახებ;

## **6. ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისათვის და პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედების შეჯამება, მათ შორის:**

- მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ატმოსფერულ ჰაერზე, სადაც მოცემული უნდა იყოს:
  - ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები (გენ-გეგმაზე მითითებით), გაფრქვეული მავნე ნივთიერებები, მათი რაოდენობრივი და თვისობრივი მონაცემები, ასევე გაბნევის ანგარიში;
  - გზმ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი;
  - ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედების პრევენციული და შემარბილებელი ღონისძიებები, დაგეგმილი ღონისძიებების ეფექტურობის დასაბუთებით;
  - ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის მონიტორინგის გეგმა (საკონტროლო წერტილების, მონიტორინგის სიხშირის, მეთოდის და ა.შ მითითებით), სადაც ინსტრუმენტული მონიტორინგის საკითხი გათვალისწინებული იქნება საცხოვრებელ სახლთან მიმართებით;
  - ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება. ხმაურის გავრცელების დონეების გაანგარიშება და მოდელირება, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები და მონიტორინგის საკითხები. ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება წარმოდგენილი უნდა იქნას კუმულაციური ზემოქმედების გათვალისწინებით;
- საწარმოს ტერიტორიის გეოლოგიური პირობების აღწერა, გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება;
- ინფორმაცია ბიოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ზემოქმედება მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე და შემარბილებელი ღონისძიებები. ამასთან, დამაბინძურებელი ნივთიერებების ავარიული დაღვრის შემთხვევაში - ღრმა ფენებში გავრცელებისა და შესაბამისი პრევენციული/შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ;
- კუმულაციური ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია 500 მ-იან რადიუსში არსებული ობიექტების გათვალისწინებით. კუმულაციური ზემოქმედების შეფასება წარმოდგენილი უნდა იქნეს გარემოს თითოეული კომპონენტისთვის (მათ შორის, ატმოსფერულ ჰაერზე, ხმაურზე, სატრანსპორტო ნაკადებზე და სხვ.). კუმულაციური ზემოქმედება სრულყოფილად იქნეს შეფასებული მოსახლეობის ჯანმრთელობაზე და

სოციალურ გარემოზე. კუმულაციურ ზემოქმედებასთან მიმართებაში განისაზღვროს შესაბამისი დეტალური შემარბილებელი ღონისძიებები;

- ზემოქმედების შეფასება ისტორიულ-კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე;
- გარემოზე შეუქცევადი ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება;
- მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე ნარჩენების წარმოქმნითა და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება;
- ინფორმაცია მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ნარჩენების (მათ შორის კონტეინერების რეცხვის შედეგად წარმოქმნილი დაბინძურებული წყლების) კლასიფიკაციის (კოდები, დასახელებები), რაოდენობის და მათი შემდგომი მართვის შესახებ, „ნარჩენების მართვის კოდექსისა“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;
- ინფორმაცია პეხ (პოლიქლორირებული ბიფენილები) ნარჩენი ზეთების საწარმოში არმოხვედრის საკითხისა და გაუთვალისწინებელი პირობების დროს პეხ ნარჩენის ზეთის მოხვედრის შემთხვევაში მისი შემდგომი მართვის შესახებ;
- გზმ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია რეზერვუარების რეცხვისა და მასში დაგროვილი წმენდის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების (მათ შორის, შლამების) შესახებ. მოსალოდნელი რაოდენობისა და შემდგომი მართვის კონკრეტული ღონისძიებების მითითებით. ამასთან, წარმოდგენილი უნდა იქნეს დაზუსტებული ინფორმაცია ლამის დროებითი დასაწყობების ადგილის, პირობებისა და ტერიტორიიდან გატანის პერიოდულობის შესახებ;
- საქმიანობის ფარგლებში განსახორციელებელი **შემარბილებელი ღონისძიებების შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი**;
- საქმიანობის ფარგლებში განსახორციელებელი **გარემოსდაცვითი მონიტორინგის შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი** (საკონტროლო წერტილების, მონიტორინგის სიხშირის, მეთოდის და ა.შ. მითითებით);
- გზმ-ის ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები და საქმიანობის პროცესში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები;

## 7. შენიშვნები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს გზმ-ის ანგარიშში:

- წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის „ნარჩენი ზეთების მართვის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 25 მაისის N327 დადგენილებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ;
- მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (მგვ) ორგანიზაციებთან თანამშრომლობის შესახებ;
- გზმ ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ობიექტზე დროებითი დასაწყობების მიზნით მისაღები ნარჩენის (ნარჩენი ზეთი) რაოდენობა, ასევე, კოდი და დასახელება „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და

კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს N426 დადგენილების II დანართის მიხედვით;

- ანგარიშში მოცემული უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია, სახიფათო ნარჩენების დროებითი დასაწყობების ობიექტის შესახებ, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის N145 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკურ რეგლამენტის “სახიფათო ნარჩენების შეგროვების და დამუშავების სპეციალური მოთხოვნები” გათვალისწინებული მოთხოვნებისა და პირობების შესაბამისად;
- სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „საპროექტო 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტი წარმოდგენილი იქნება 38 ერთეული მიწისზედა რეზერვუარისგან შემდგარი სარეზერვუარო პარკით“, მათ შორის ერთი ერთეული 55 მ<sup>3</sup> მოცულობის რეზერვუარით. ანგარიშის სხვა ნაწილში აღნიშნულია, რომ „ტერიტორიაზე დასაწყობებულია საწარმოო ობიექტის მოწყობისთვის საჭირო რეზერვუარების ნაწილი (2 ცალი – 55 მ<sup>3</sup>)“ - აღნიშნული ინფორმაცია ურთიერთგამომრიცხავია და დაზუსტებას საჭიროებს;
- სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საერთო ჯამში ობიექტზე მოეწყობა 1006 მ<sup>3</sup> მოცულობის სარეზერვუარო პარკი. თუმცა, მონაცემთა გადამოწმებით (რეზერვუარების ჯამური რაოდენობა და თითოეულის მოცულობა) დგინდება, რომ სარეზერვუარო პარკის ჯამური მოცულობა 1006 მ<sup>3</sup> -ს ნაცვლად, 1001 მ<sup>3</sup> -ს შეადგენს. შესაბამისად, სარეზერვუარო პარკის ჯამური მოცულობა დაზუსტებას საჭიროებს;
- სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ საპროექტო ტერიტორიაზე მოეწყობა 38 ერთეული მიწისზედა რეზერვუარი, მათ შორის, 18 ერთეული (თითოეული 25 მ<sup>3</sup> მოცულობის) რეზერვუარი განთავსდება შენობა-ნაგებობაში, ხოლო 20 ერთეული სხვადასხვა მოცულობის რეზერვუარი (1 ერთეული - 55 მ<sup>3</sup>, 1 ერთეული - 50 მ<sup>3</sup>, 2 ერთეული - თითოეული 8 მ<sup>3</sup>, 1 ერთეული - 75 მ<sup>3</sup>, 14 ერთეული - თითოეული 25 მ<sup>3</sup> და 5 მ<sup>3</sup> მოცულობის მიმღები რეზერვუარი) შენობა-ნაგებობის გარეთ. თუმცა ობიექტის გენ-გეგმის მიხედვით (სურათი 3.1.1), შენობაში განთავსდება 12 რეზერვუარი, ხოლო 8 მ<sup>3</sup> მოცულობის ორი ერთეული რეზერვუარიდან დატანილია მხოლოდ ერთი. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საპროექტო რეზერვუარების შესახებ ინფორმაცია (რაოდენობა, მოცულობა, განთავსების ადგილმდებარეობა) და ობიექტის გენერალური გეგმა დაზუსტებას/კორექტირებას საჭიროებს;
- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს 470-500 მეტრში. თუმცა მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 210 მეტრით (ს/კ: 02.07.04.798), ხოლო დაახლოებით 330 მეტრში წარმოდგენილია ამხანაგობა „ერთგულეა“ (ს/კ: 02.07.02.420). შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე მანძილი დაზუსტებას საჭიროებს, რაც ასევე გათვალისწინებული უნდა იქნას შესაბამის გაანგარიშებებსა და შეფასებებში (ემისიები ატმოსფერულ ჰაერში და ხმაურის გავრცელება, კუმულაციური ზემოქმედება, ალტერნატივების დასაბუთება და სხვ.);

- სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ამ ეტაპზე „ტერიტორიაზე დასაწყობებულია საწარმოო ობიექტის მოწყობისთვის საჭირო რეზერვუარების ნაწილი, ასევე 200 ლიტრიანი ზეთის კასრები და 1 მ<sup>3</sup> მოცულობის ევროკუბები (პლასტმასის კონტეინერები).“ ამასთან, არ არის მოცემული სამუშაოების დაწყებისა და ობიექტის ექსპლუატაციაში შესვლის ეტაპზე აღნიშნული კასრებისა და ევროკუბების შესახებ ინფორმაცია (დარჩება თუ არა ტერიტორიაზე), რაც დაზუსტებას საჭიროებს;
- დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის ფუნქციური ზონის/ქვეზონისა და მასთან თავსებადობასთან დაკავშირებით წარმოდგენილი უნდა იქნეს ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტთან შეთანხმების დამადასტურებელი ინფორმაცია;
- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშში გათვალისწინებული უნდა იქნეს სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული თითოეული მოთხოვნა.

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული თითოეული საკითხის გათვალისწინების შესახებ, ერთიანი ცხრილის სახით

#### დასკვნითი ნაწილი:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, შპს „ალტერვეისტის“ მიერ წარმოდგენილ საქმიანობაზე (ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტში, 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენების (ნარჩენი ზეთები) დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა და ექსპლუატაცია) **სავალდებულოა გზშ-ის ანგარიშში მომზადდეს** წინამდებარე სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის და წარმოსადგენი დოკუმენტაციის მიხედვით. გზშ-ის ანგარიშში შედგენილი უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობისა და სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული საკითხების დაცვით.